წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო ბიუჯეტის

საბჭოს სხდომის ოქმი №1

ქ.წყალტუბო **17 ივლისი, 2024 წელი, 15:00 სთ.**

სხდომას თავმჯდომარეობდა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე - გრიგოლ ყურაშვილი.

საბჭოს ესწრებოდნენ:

გრიგოლ ყურაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

მალხაზ ჩხეიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მარეხ კანკაძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

ფატი გაგოშიძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ანა გელენიძე - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

ელენე კრავცოვა - მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი;

არჩილ ღიბრაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი ფაჩუაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე;

ლალი გრიგოლავა - არასამთავრობო ორგანიზაცია „წყალტუბოს დევნილ ქალთა კავშირი";

თეიმურაზ ფირცხალავა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ, გრიგოლ ყურაშვილმა, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების გაცნობა, განხილვა და მათი შეფასება სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური ასპექტების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, გრიგოლ ყურაშვილმა, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრებს გააცნო წყალტუბოს ზონების მიხედვით მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი 2 საპროექტო ინიციატივა.

პირველი ზონის მოსახლეობიდან წარმოდგენილი იქნა 1 საპროექტო ინიციატივა, ჯამური ღირებულებით - 56750 ლარი.

1) ღირებულება: 56750 ლარი

   დასახელება: „ქალაქ წყალტუბოში, თბილისის ქუჩის №3 ბინის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები".

მეორე ზონის მოსახლეობიდან წარმოდგენილი იქნა 1 საპროექტო ინიციატივა, ჯამური ღირებულებით - 56750 ლარი.

1) ღირებულება: 56750 ლარი;

   დასახელება: „ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩის №10 ბინის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები".

N1

მოისმინეს:

საბჭოს თავმჯდომარემ, გრიგოლ ყურაშვილმა, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრებს გააცნო პირველ ზონაში მცხოვრები მოქალაქის საპროექტო ინიციატივა.

აზრი გამოთქვეს:

წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივა შევსებულია სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმირების წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. საპროექტო ინიციატივას ასევე ხელს აწერს 10 მხარდამჭერი.
რაც შეეხება საპროექტო ინიციატივის სამართლებრივ, ტექნიკურ და ფინანსურ ასპექტებს, აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მალხაზ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ საპროექტო ინიციატივის სავარაუდო ღირებულება სწორია. ტექნიკური ასპექტის თვალსაზრისით, შესაძლებელია პროექტის განხორციელება, ხოლო რაც შეეხება სამართლებრივ ასპექტს, მარეხ კანკაძემ აღნიშნა, რომ ინიციატივით გათვალისწინებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე რეკრეაციული სივრცის მოწყობა და გამომდინარე აქედან მოთხოვნა ქონების ეროვნულ სააგენტოში წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის ქონების გადმოცემის თაობაზე უკვე გაგზავნილია.

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

სხდომას ესწრებოდა სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს 10 წევრი

მიღებულია გადაწყვეტილება:

მოქალაქის საპროექტო ინიციატივა ფინანსური და ტექნიკური ასპექტების თვალსაზრისით გამართულია, ხოლო რაც შეეხება სამართლებრივ ასპექტს, უძრავი ქონებება (მიწის ნაკვეთი), რომელზეც მოთხოვნილია რეკრეაციული სივრცის მოწყობა, არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა, უკვე მოითხოვა სახელმწიფო ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან.

N2

მოისმინეს:

საბჭოს თავმჯდომარემ, გრიგოლ ყურაშვილმა, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრებს გააცნო მეორე ზონაში მცხოვრები მოქალაქის საპროექტო ინიციატივა.

აზრი გამოთქვეს:

წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივა შევსებულია სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმირების წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. საპროექტო ინიციატივას ასევე ხელს აწერს 10 მხარდამჭერი.
რაც შეეხება საპროექტო ინიციატივის სამართლებრივ, ტექნიკურ და ფინანსურ ასპექტებს, აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მალხაზ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ საპროექტო ინიციატივის სავარაუდო ღირებულება სწორია. ტექნიკური ასპექტის თვალსაზრისით, შესაძლებელია პროექტის განხორციელება, ხოლო რაც შეეხება სამართლებრივ ასპექტს, მარეხ კანკაძემ აღნიშნა, რომ ინიციატივით გათვალისწინებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე რეკრეაციული სივრცის მოწყობა და გამომდინარე აქედან მოთხოვნა ქონების ეროვნულ სააგენტოში წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის ქონების გადმოცემის თაობაზე უკვე გაგზავნილია.

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

სხდომას ესწრებოდა სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს 10 წევრი

მიღებულია გადაწყვეტილება:

მოქალაქის საპროექტო ინიციატივა ფინანსური და ტექნიკური ასპექტების თვალსაზრისით გამართულია, ხოლო რაც შეეხება სამართლებრივ ასპექტს, უძრავი ქონებება (მიწის ნაკვეთი), რომელზეც მოთხოვნილია რეკრეაციული სივრცის მოწყობა, არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა, უკვე მოითხოვა სახელმწიფო ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან.

საბოლოო შედეგები:

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში წარმოდგენილი 2 საპროექტო ინიციატივიდან ორივე საპროექტო ინიციატივა შესაბამისობაშია ფორმირების წესით განსაზღვრულ პირობებთან.

პირველი ზონის მოსახლეობიდან წარმოდგენილი იქნა 1 საპროექტო ინიციატივა, ჯამური ღირებულებით - 56750 ლარი.

2) ღირებულება: 56750 ლარი
   დასახელება: „ქალაქ წყალტუბოში, თბილისის ქუჩის №3 ბინის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები".

მეორე ზონის მოსახლეობიდან წარმოდგენილი იქნა 1 საპროექტო ინიციატივა, ჯამური ღირებულებით - 56750 ლარი.

2) ღირებულება: 56750 ლარი;
   დასახელება: „ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩის №10 ბინის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები".

საპროექტო ინიციატივების ჯამური ღირებულება არ აღემატება ჯამურად გამოყოფილ თანხას (114000 ლარი), შესაბამისად ზემოთ ხსენებული ინიციატივების გადასარჩევად დამატებითი პროცედურების, კერძოდ არჩევნების ჩატარება არ არის საჭირო და ორივე მათგანი ექვემდებარება დაფინანსებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ ყურაშვილი

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

მალხაზ ჩხეიძე

საბჭოს წევრები:

მარეხ კანკაძე

ფატი გაგოშიძე

ანა გელენიძე

ელენე კრავცოვა

არჩილ ღიბრაძე

გიორგი ფაჩუაშვილი

ლალი გრიგოლავა

თეიმურაზ ფირცხალავა